

ჭ.04/350.14 14.11.14

სპ/მ



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

№ 2268634

11/11 2014წ.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა
ასოციაციის თავმჯდომარეს
ბატონ კახა კოჭორიძეს

ბატონო კახა,

თქვენი Nგ-04/480.14 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის N337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სხვა ამოცანებთან ერთად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ძირითადი ამოცანაა კანონმდებლობით დადგენილი წესით ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და კონტრაზვერვითი საქმიანობის განხორციელება; მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საქმეებზე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი საფუძვლებითა და წესით სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებების გამოყენება და სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიება; დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება; სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებში წარმოებული ოპერატიულ-ანალიზური და ოპერატიულ-სამძებრო, აგრეთვე კონტრაზვერვითი საქმიანობის შემოწმება; სამინისტროს სისტემაში ფინანსური, მათ შორის, ოპერატიული ხარჯების შემოწმების ჩატარება და სამინისტროს საინფორმაციო სისტემების უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ზოგიერთი ნორმატიული აქტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 22 აპრილის N305 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო საიდუმლოებისათვის მიკუთვნებულ ცნობათა ნუსხის V თავის 5.1 პუნქტის 5.1.3., 5.1.4., 5.1.8, 5.1.9. ქვეპუნქტებისა და 5.3. პუნქტის საფუძველზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულება მიეკუთვნება სახელმწიფო საიდუმლოებას და მას მინიჭებული აქვს შესაბამისი სახელმწიფო საიდუმლოების ხარისხი (გრიფი) – “საიდუმლო“.

რაც შეეხება სახელმწიფო საიდუმლოებას კონკრეტული ინფორმაციის მიკუთვნებისათვის ცალკე სამართლებრივი აქტის გამოცემის ვალდებულებას, გაცნობებთ.



რომ ასეთი ვალდებულება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის და სახელმწიფო საიდუმლოების ხარისხის (გრიფი) მინიჭება ხდება უფლებამოსილი პირის მიერ უშუალოდ ამ კატეგორიის დოკუმენტზე შესაბამისი აღნიშვნით. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულება დამტკიცებულია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ნორმატიული აქტით და მას მინიჭებული აქვს შესაბამისი გრიფი. იმ თანამდებობის პირთა ნუსხა, რომელთაც აქვთ კონკრეტული ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოებისათვის მიკუთვნების უფლებამოსილება განსაზღვრულია „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ზოგიერთი ნორმატიული აქტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 22 აპრილის N305 დადგენილებით (დანართი N3).

პატივისცემით,

შსს ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე  გიორგი სახოკია